



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Legal Entity Public Law
SAMTSKHE -JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL



ოქმი №

9

” 18 ”

05

2020

დადგენილება № 18

აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 მარტის N23 დადგენილებით დამტკიცებულ „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებაში“ ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/6 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 მარტის N23 დადგენილებით დამტკიცებულ „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებაში“ და აღნიშნული დებულების მესამე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „**მუხლი 3. მაგისტრატურაში ჩარიცხვის უფლება და წინაპირობები**

3.1 სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა შეუძლია საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს (საქართველოს მოქალაქეს), რომელმაც ჩააბარა საერთო სამაგისტრო გამოცდა, გადალახა ტესტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვა უფლება ჩააბაროს სასპეციალიზაციო გამოცდა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე. იმ სამაგისტრო პროგრამებზე, სადაც მოითხოვება უცხო ენის ცოდნა, კონკურსანტი აბარებს გამოცდას უცხო ენაში, რათა დადგინდეს უცხო ენის ცოდნის დონე ან შეუძლია წარმოადგინოს უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.2. უცხოელი მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. უცხოელი მოქალაქეებისათვის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის აუცილებელი პირობაა ქართული ენის B2 დონეზე ცოდნა, რადგან პროგრამაზე სწავლა ხორციელდება ქართულ ენაზე. ამიტომ, უცხოელი მოქალაქეები წარმოადგენენ საბუთს ქართული

ენის B2 დონეზე ფლობის შესახებ, ან ქართულენოვანი პროგრამის დამადასტურებელ დოკუმენტს, ან აბარებენ გამოცდას ქართულ ენაში.

3.3. პროგრამაზე ასევე შეუძლიათ, სწავლა გააგრძელონ მობილობის წესით საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (რომელთა გაცემულ დიპლომს აღიარებს სახელმწიფო) და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის მაგისტრანტებმა (გამონაკლისს წარმოადგენს სამართლის სამაგისტრო პროგრამა, სადაც მობილობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სამართლის სამაგისტრო პროგრამებიდან).

3.4. მაგისტრანტურაში ჩარიცხვის უფლება აქვს აგრეთვე პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, მაგრამ არჩეული მიმართულებისაგან განსხვავებულ სპეციალობებში.

3.5. პროგრამაზე შესაძლებელია, განხორციელდეს სტუდენტების ჩარიცხვა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში არსებული წესის შესაბამისად.

3.6. სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამის მიხედვით, შეიძლება დადგენილ იქნეს დამატებითი მოთხოვნები.

3.7. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო სამაგისტრო და სხვა ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე.

3.8. უნივერსიტეტში სასპეციალიზაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ კონკურსანტის ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობა სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში რეგისტრაციის გავლა.

უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად პროგრამაზე შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტების ჩარიცხვა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამის მიხედვით შეიძლება დადგენილი იქნეს დამატებითი მოთხოვნები.“

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

3. დადგენილება გაეგზავნოს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის მართვის განყოფილებას და განთავსდეს ვებ-გვერდზე.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი

2. 

მაკა ბერიძე